კვირა 8 ივნისი

ფასი 5 კაპ.

ეშმაკები

№ 20. იუმორისტ. ჟურნალ.

1914

1233



კაცი კოლოფში (ანუ გლასების კასა).

მას ჟამსა შინა, როდესაც პური
თბილი, მსუქანი, ფედერალური,
გაჩნდა კურთხეულ საქართველოში:
[illegible] ია კოჭის იზოში.

ასტყდა განგაში და მუშტის ცემა;
ზოგს მშიერს მუცლის აუტყდა გვრემა,
ზოგი ეს-დეკი, ეს-ფერი გახდა
[illegible]

ჭკუა-ნამუსით სრულად გაბახდა.
ყველა: ულონო და დავრდომილი,
ან თუ ქალწული, ეშხით ცდომილი,
საამქვეყნიოთ დრო-გადასული,—
შოვინისტათა გამონათლული,—
რა ჰპოვეს პური ახლად-შობილი,
(პირველ, კიტასგან ამოცნობილი),
რაიც საკუჭო გამოდგა რა-კი,
ირგილივ კბილებმა იწყეს წაკწაკი
და თავადთ გროვა მუნ მოვლენილი,
ჯარათ მიადგა პირ-დაფჩენილი...
—ეს იყო ბანკი!
და ფულის პარკი
როგორც-კი ცოტას შეირხეოდა,—
მიწა ღელავდა, ცა ირყეოდა
და ლასხიშვილი ბაქოს მდებარე,
თბილის-ქალაქში გაიქცეოდა;
(თურმე, ეშმაკიც ვერ მიწეოდა!)
და ჰა, მიადგენ მშიერ-სნეულნი,
ეს-ფერთ ბანაკით გამოწვეულნი,
და იმნაირი ხერხი იხმარეს —
გლახა თევდორეც კი მოიხმარეს.
ბარეს და ბარეს, თხარეს და თხარეს,
გახვრიტეს ბანკი ორთავე მხარეს,
სძღიეს მიზანი დანაქადები
ღა შეაძვრინეს შიგ ბელადები...

. . . . . .

აღარ ჩხავიან ახლა კატები,
არცა იმათი „კანდიდატები“
და ისე ყრია დღეს სალაროში
ფული, ვით ხორცი სასალახოში.
და აჰა, აგერ, კაცი კოლოფში—
მაოი მიზანი და იდეალი!
„სამშობლოს“ ყვირის ფულებთან ომში,
და კასა არის მისი ტრფიალი.
ჰოი, კიტაო შე კურთხეულო,
რა მანქანები მოგიგონია,
შენი პარტია და საწვეულო —
კუჭთა სარბევი დოლი გქონია!
ყველა დავრდომილ და დაცემულებს,
(გამოესალმა ვინცა მამულებს)
ვინც რწმენით გონჯი, ჭკუით ბატა,
გულში იხუტებს შენი პარტია!
მაგრამ ვინ მოჰკლას კუჭის წადილი? —
თავადებს გიყვართ კარგი სადილი
და დამატებით — ფედერალობა,
(ისე, ვით გიგოს, კეკემალობა!)
გამოიჩინეთ მაშ აწ, ქალობა:
წაშალეთ სიტყვა — ფედერალისტი,
და წაწერეთ დროშასა თქვენსა:
„გლახაკთა კასა, კუჭის არტისტი!“

ვფიცავ, ეს უფრო შეგეფერებათ, —
თავადნი უფრო მოგეფერებათ
და თქვენი სახე ისტორიაში,—
მუდამ იქნება საპყართ სიაში!

შუბი.

მუშის სიმღერა.

მე მარტო ვდგევარ ბრძოლისა ველზე, —
ჩემ საკეთილოდ არავინ ზრუნავს,
თუ არ ჩემებრივ ოფლში ნაწრთობი
წყლულებსა ჩემსას ვერვინ გაჭკურნავს.
კმარა, არა მსურს მე ძიძა — ლალა, —
ბრძოლის სურვილმა იფეთქა გულში,
და მიზანს ვპოვებ მედგარ ბრძოლაში
ძმობა-ერთობა და სიყვარულში!
და თვით გავიკვლევ ჩემს გზას ეკლიანს, —
სიმართლის კვერთხსა ავიღებ ხელში,
ის მეყოლება მე თანამგზავრი
ცხოვრების გზაზე, ცხოვრების ბნელში.
მივაღწევ მიზანს, ედემის ბაღნარს,
სიმართლის ტაძარს იქ ავაშენებ
და ოფლში მცურავ მკერდსა მაშვრალსა
იქ, წმინდა ადგილს, მე შევასვენებ...

გოგია.

სოფლის მუშები.

(ძღვნათ ბაგ-ის და გურ-ის)

ადექ ბიჭო, ადექ ვანო!
ჰა თენდება უკვე დილა,
ვიშ რა კარგი დარი დგება:
ზეცა ლურჯათ მოწმენდილა.
ხვნა ხომ უკვე გავათავეთ, —
ახლა თოხნას მივყოთ ხელი,
ერთად, ძმურად, მეგობრულად,
წინ გავსწიოთ ჩვენ უღელი.
აბა ძილის რა დრო არის?
კიდით კიდემ გაიღვიძა;
ადექ ბიჭო შრომის შვილო, —
ოფლით მოვრწყოთ დედა-მიწა.
აბა ძმურად ხელი ხელსა,
უკუ ვაგდოთ მტრობა-შური
და ფრინველთა ნარნარ ჭიკჭიკს
შეუერთოთ ჩვენც „მუშური“.
ხომ შეხედეთ ნორჩსა სომინდს,
როგორ სპარბობს ეკალ-ნარი
დავკრათ თოხი, მოვსჭრათ ძირში
უსარგებლო რაც კი არი.
ნუ ვაყოვნებთ, დაუჩქაროთ,
ჰა თენდება უკვე დილა,

წუხელ წვიმდა, დღეს ჯეჯილი
აბა ვნახოთ თუ გაზრდილა.
თუმც წარსულში, ჩვენი შრომა
უნაყოფოდ დაიკარგა, —
მაგრამ მოდის მომავალი,
წინ, წინ გასწევს ვინც კი ვარგა!..

კვახაძე.

ა ნ კ ე ტ ა

(ქართულ თეატრის შესახებ)

დღეს ქართული ხელოვნების ისტორიაში ღირს შესანიშნავი დღეა. დღეს პირველად იკრიბებიან სცენის მოღვაწენი და ყველა ისინი, ვისაც რაიმე კი აკავშირებს ქართულ სცენასთან. დღეს პირველად უნდა ჩაეყაროს საფუძველი ახალ საქმეს. დღეს ქართული ხელოვნება უნდა დაადგეს აღორძინების გზას და მტკიცე ნიადაგი მოიპოვოს მომავალ ცხოვრების. ამ ღირს შესანიშნავ დღისთვის ჩვენ განვიძრახეთ მოგვეხდინა ანკეტა იმ პირთა შორის, რომელსაც რაიმე დამოკიდებულება აქვს ქართულ თეატრთან. ამ მიზნით წერილობით მივმართეთ ქართველ მსახიობებს, პოეტებს, ბელეტრისტებს, დრამატურგებს და სხვა. მოგვყავს დაწვრილებით თვითოეული მათგანის აზრი ქართული თეატრის შესახებ. ჩვენი შეკითხვა ასეთი იყო: **რას ისურვებთ ქართულ თეტრისთვის?**

პასუხები აღარებელი მივიღეთ, რომელთაგან მოგვყავს უფრო ღირს შესანიშნავი.

პასუხი ქართველ მსახიობებისა:

ჩვენი ერთად ერთი სურვილია ქართული თეატრი გარდაიქცეს ერთ დიდ რუმბათ. რუმბი წითელი ღვინით უნდა იყვეს გატიკნილი. რუმბს ოთხი ძუძუ ჰქონდეს. ოთხივე ჩვენს პირში იყვეს და ნება გვქონდეს ვწოვოთ სანამდე გვინდა.

ქართველი მსახიობნი: ვ. გუნია, იშხნელი, ყივიძე და გვარაძე.

მეც თანახმა ვარ.

სუფლიორი ბეგლარიძე.

—

ჩემი გულწრფელი სურვილია ქართული თეატრის სცენა ერთ დიდ რგვალ მაგიდათ გადაქცეულიყვეს, მსახიობნი სათამაშო ქაღალდებათ და „პუბლიკა“ „მაზისტებათ“. ქართულ თეატრის აღორძინება შეიძლება მხოლოდ მაშინ.

ავლაბრის თეატრის მსახიობ-რეჟისორი ს. ივანიძე.

—

ბიჭო! რას ჩამაცივდით! რას ვუსურვებ ქართულ თეატრს? ნეტაი ღმერთი იზამდეს და ერთ პატარა კოლოფად გადააქცევდეს ამ ჩვენ თეატრს, ისე, რომ შემეძლოს ჩავყარო შიგ მსახიობნი, პიესები, დეკორაციები და ავიკიდო ზურგზე. იცოცხლეთ მთელი საქართველოს კუნტულები შემოვირბინო. ვაი, ნეტა მართლა ასე იყოს და ეს კოლოფი აქ მომცა ყვირილაში.

მსახიობი ვ. ურუშაძე.

—

კიდევ მრავალ მსახიობთაგან მივიღეთ წერილები, მაგრამ უადგილობის გამო ვერ ვბეჭდავთ.

პასუხი დრამატურგთა:

რა უნდა ვუსურვო ქართულ თეატრს? ვუსურვებ მომავალ სეზონში მხოლოდ მარტო „სინათლე“ დაედგას სხვა არც ერთი პიესა. მეც გადავსწყვიტე ჩემს სიცოცხლეში სულ „სინათლე“-ს გაგრძელება ვსწერო.

ი. გედევანიშვილი.

—

ქართულ თეატრს ვუსურვებ ერთ რამეს: თუ კიდევ ჩემგან მიიღოს რაიმე „ნაგავი“, თავი არ მომჭრას და ხალხს არ აჩვენოს.

ნ. შიუკაშვილი.

—

ჩემი სურვილია ა. წუწუნავა სულ მუდამ ქართულ თეატრში დარჩეს რეჟისორად, რომ ხელი შემიწყოს ბოლოს მაინც მოვიხვეჭო დრამატურგის სახელი. თითო „რამეს“ ყოველ წელიწადს ვსწერ და თუ წუწუნავა არა, ისე ვინ აღირსებდა სცენას.

ს. პანტურიშვილი.

—

გულით ვუსურვებ ქართულ თეატრს ჩემს დრამებიდან 25 მაინც დაედგას მომავალ სეზონში. ერთი წლის განმავლობაში ოთხმოცი დრამა დავსწერე.

გ. ფოცხოველი.

—

ქართულ თეატრს რას ვუსურვებ? ისიც დიდი წყალობაა ჩემთვის, რომ მომიგონეთ და გინდათ ჩემი აზრი გაიგოთ. რას ვუსურვებ? შავ ქვას და ცხელ ნაკარს. რა ოხრათ მინდა ქართული თეატრი?! ვწერ დრამებს და ჰყრია ოხრათ. ვერასოდეს ისინი სცენას ვერ იხილავენ. ჯერ იყო და დაბეჭდვა გაჭირდა და სცენას ვიღა აღირსებს. ამიტომ ჩემთვის სულ ერთია, გინდ იყოს და გინდ არა ქართული თეატრი.

გამოჩენილი დრამატურგი ხეჩუაშვილი.

—

გულით გვსურს ქართული თეატრი სულ ჩათქვეფილიყოს ჩვენში და მის დარბაზში ძუდამ ლოტოს თამაში ყოფილიყოს.

ახალ კლუბის მამასახლისები.

—

ქართულ თეატრს ვუსურვებ ჩემთვის ანგარიში გაესწორებიოს. ის დღე მოძასწრას ღმერთმა რომ აფიშა დავბეჭდო და მაშინვე ფული მივიღო.

მესტამბე მიხა გაჩეჩილაძე.

დანარჩენ წერილებს შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

„მათრახის“ რედაქცია.

პირველი, პოეტური „ნახეთაძი“.

ბოდიშს ვიხდი, ბატონებო,
თუ ვერ გითხრათ ლექსი კარგი,
მოგახსენებთ გულ ახდილათ
ეგ არ იყო ჩემი დარგი.

ქართველ პოეტთ უთვალავ ჯოგს
შევემატე კიდევ ერთი,
არ მინდოდა პოეტობა
მოწამეა მაღლა ღმერთი.

გეტყვით ეხლა როგორ მოხდა
საარაკო ეგ ამბავი,
სრულ სიმართლეს მოგახსენებთ
არ მოგიკვდეთ ჩემი თავი.

ამ ბოლო დროს გაგვიხშირდა
საღამო და უფრო ღილა,
ყველა მართავს, მას არ უნდა—
არც საპონი და არც ლილა.

გუშინ დილით მეცა მთხოვეს
წამეკითხა თქვენთვის რამე,
რას ვიზამდი მოვიმართე
არ მეძინა მთელი ღამე.
და ამ დილით გარიჟრაჟზე
სტოლის კუთხეს ჩამეძინა,
და უეცრად ამ ტკბილ ძილში
ვიღაც კაცი მომევლინა.
მივიხედე დავინახე
ტანთ ემოსა თეთრი ბლუზა,
დამიყვირა ვერ მიცანი?
პოეტების მე ვარ მუზა.
დაიღრიჯა, დაიკლაკნა
შესაზარათ მოიკუზა,
გადმოფრინდა სტოლისაკენ
ერთი მაგრათ თავში მდრუზა;
და გადმოსკდა ნიაღვარი,
პოეტობაც ასე უნდა,—
თუ არ იწყენთ ძღვნათ მიირთვით
ჩემი ლექსი ერთი გუდა.

ახალი პოეტი.

სამტრედია. წ. კ. საზოგადო კრების მიერ გადაყენებული „საზოგადო მოღვაწეი“ და მათთან შეშინებული თავის მაქებარი ექიმი.

გურული სცენა

ყაჩაღის მოკვლა.

იმისთანე უბედურობა და სირცხვილი შენს მტერს დიემართოს, რაც ჩვენ ნაქირავებ მამასახლისს დიემართა. კვირე ღამეს მისულა ბატონო ვინცხა და უთქვამს: ამა და ამ კაცისას გამოჩენილი კაჩაღი ბენტერაშვილი ვახშამს ჭამსო, თუ შეგიძლია წეიყვანე სტრაჟები დეიცი თავზე და დეიჭირეთ. დაფაცურდა თურმე ჩვენი მამასახლისი, დოუძახა სტრაჟებს ახსენეს ღმერთი შეეფდენ ცხენებზე და გასწიეს კაჩაღის დასაჭირავათ. უმთვარო ღამე იყო. ერთმა თვალ მახვილმა სტრაჟმა დეინახა ვინცხა ნაბდიანი მიმავალი კაცი ფშუკაში და დოუძახა: რომელი ხარ შენო, თუ ბენტერაშვილი ხარ გირჩევნია ცოცხლად დაგვრჩიო, მიაყვირა მამასახლისმა, მარა თქვენც არ მომიკვდეთ, იგი მაინც ხმას არ იღებს და გულადათ მოდის აგინისკენ, მაშვინ უბრძანა მამასახლისმა სტრაჟებს, ესროლეთო. უცბათ იგრიალა თოფებმა და იგრიალა, შეიქნა უღმერთო „ზალპი“ მთელი ჩვენი სოფელი ფეხზე დადგა. მივ ცვინდით ცაი და ქვეყანა და რავარც დარწმუნდენ, რომ კაჩაღი მოკლულიაო, შეწყვიტეს სროლა, მოუვიდათ ერთმანეთში ყინყლი, არა მე ვესროლე უწინ და არა მეო, ერთი მაინც თლათ იკლავდა თავს, ჩემი თოფის გავარდნა და კაჩაღის წაქცევა ერთი იყო. ყველა ჩინ-მენდალს ელოდა. მერე რავაც იყო დაშოშმინდენ. მე ადარ მომითმინა გულმა, ვიფიქრე მივალ და ვნახავ კვდარ კაჩაღს მეთქი, გოუქნიე სფიჩქა, მივედი და ვნახე. მერე არ იკითხავთ ვინ ამოჩთა ბენტერაშვილის მაგიე? ბეჟუკელეს შავი ძროხა.

ზენათობა.

ბათუმის ვითარება

(მოკლე მოხსენება)

თანახმად თქვენი დავალებისა, მე მოვახდინე რევიზია ბათუმის რკინის გზის დეპოში. აქაური მუშები რამდენიმე პარტიათ არიან დაყოფილნი: 1) ფანდისტთა, 2) ნარდისტთა, 3) კარტისტთა, 4) ყანწისტთა, 5) ჟეშმარიტ გზათა (18—20 კაცი) და 6) „ილიკოსტები“.

თუმცა ილიკოსტთა პარტია მცირე რიცხოვანია, მარა ეგ არაფერი. მთელი დეპოს საქმე მაზე ტრიალებს. „ილიკოსტთა“ პარტიის პროგრამა შემდეგია: 1) მუშა, რომელიც უფროსს დაუახლოვდება უნდა გახდეს მოხელე და მიემატოს დღიურად ხუთი შაური. 2) მოწინავე მუშები ყველა პირუტყვები და სხვა ცხოველები არიან. 3) მუშამ (სულ ერთია რა პარტიისაც იქნება) აუცილებლათ ქებაია-ქება უნდა უძღვნას შავრაზმელ შიდტს, 4) პარტიის წევრი ვალდებულია ყოველი საშუალება იხმაროს მუშების სოლიდაროობის დასარღვევათ. 5) მუშების ყოველიკე მოქმედება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფროსს, რომ საჭირო ზომები დროზე მიღებულ იქმნას. პროგრამის დანარჩენი მუხლები პარტიას ჯერ გამორკვეული არა აქვს, მაგრამ ახლო მომავალში საზოგადო კრება მოხდება, რომელზედაც სავსებით გამოირკვევა თვით პარტიის ლიდერის ილიკოსი და მისი პარტიის „ილიკოსტთა“ ფიზიონომია. ამის შესახებ შემდეგ გაცნობებთ.

ლრიჭინა.



აქ იჯდა ჟურული.

ვითარცა კრუხი
„მოქურუჟული“,
აქ იჯდა გოგი
გვარათ ჟურული.
იჯდა თავისთვის
ტკბილათ და წყნარათ,
არავინ ჰყავდა
ხმოსნებში მწყრალათ.
ყოველ ოც რიცხვში
ქანქარს იღებდა,
ნელი ღიღინით
ჯიბეს იდებდა.
მაგრამ უეცრად
საქმე ქნა ძნელი,
მან მიატოვა
ეს სავარძელი.
გაიჭრა ველად
ვითარცა ხელი,
რომ მოეხვეჭა
დიდი სახელი
(და შეეწირა
მთელ საქართველოს,
ვითარცა მსხვილი
თაფლის სანთელი).
შემოკრბენ ყველა
ხმოსან წევრები,
და დაიგლიჯეს
თმა და წვერები.
თათბირის შემდეგ
გაშალეს სუფრა,
ბევრმა ლამაზი
რეჩიც კი უთხრა.
მოლბა გიორგი
ისევ დაბრუნდა,
საერო საქმე
გამოგვიბრუნდა.
და სავარძელსა ამას ცარიელს
კვლავ მოევლინა საქმის მმართველი,
ჩვენი მამულის ერთგული შვილი
თავდადებული ჩვენი ქართველი.

ქართველი ხმოსანი.

თავდადებული ქართველი

(ანუ დურმიშხანული კვანტი.)

(დასასრული)

ბუნებრივად ჟორჟი დიდი ცვალებადი ხასიათის იყო, ყოველ ადამიანს შეეძლო როგორც უნდოდა ისე დაეხვია ხელხე. მეტად ჩვილი გულის პატრონი გახლდათ და არ შეეძლო ვისთვისმე რამე ეწყენინებია. ხშირად გამგეობის კრებებზე თავში უფაჩუნებდნენ, მაგრამ ჟორჟი ყველაფერს ითმენდა სამშობ-

ლოს გულისთვის. ხშირად მიმართავდენ ხოლმე ქართველები რაიმე საქმეზე, ჟორჟი ყველას მხოლოდ ტკბილი სიტყვებით ისტუმრებდა. ასეთი იყო მოღვაწეობა ამ დიადი გვამისა.

დადგა საბედისწერო წუთი გამგეობის კრებაზე წამოაყენეს საკითხი ექიმის დანიშვნის შესახებ. ჟორჟიმ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიფა, ქართველური სისხლი მაჟარივით აუდუღდა ძარღვებში, წამოდგა და მაგიდაზე ისე ძლიერად დაჰკრა მუშტი, რომ გამგეობის წევრებმა შიშით ყურები შეახეთქეს.

— სომხებო! დადგა დრო როცა უნდა გამისწორდეთ. თქვენ მოგისურვებიათ ჩაჰყლაპოთ ჩვენი სამშობლო, ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი სახლები, მთელი საქართველო, ქართველი ერი. დღემდე ვითმინე, მაგრამ ეხლა კი აღარ შემიძლია. მე ბოვითხოვ ექიმის თავისუფალ ადგილზე უნდა დაინიშნოს აი ეს ლორთქიფანიძე—დასჟყივლა ჟორჟიმ და მარჯვენა ჯიბიდან ჯიტარა ტანის კაცი ამოათრია.

ჟორჟიკას კოლეგები უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნ. მეტი რა გზა ჰქონდათ იქვე აღუთქვეს სურვილის ასრულება და ჩვენი მამულიშვილიც მეტათ კმაყოფილი დაბრუნდა სახლში და ძლიერის მადით სადილს შეექცა.

გავიდა ხანი. ჟორჟის სურვილი ფეხ-ქვეშ გათელეს, მამულის სიყვარულით აძიგძიგებული გული შეურაცხყვეს, ლორთქიფანიძის მაგიერ დანიშნეს ვიღაც სომეხი.

ეს ამბავი მეხივით დაატყდა თავს საბრალო ჟორჟის. აღარ იცოდა რა გზას დასდგომოდა. ერთი კვირის ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა დემონსტრატიულათ სამსახურის თავის დანებება. დროც კარგი იყო, რადგან ბანკში არჩევნები ახლოვდებოდა.

იფიქრა და აასრულა კიდეც. გამოვარდა „უპრავიდან“, მამულისთვის თავი დასდო. ეს მისი გმირობა ღირსეულად დააფასეს. როცა ის სახლისკენ მიდიოდა ქუჩაში ხეები მოიღუნა და სალამი მისცეს, ქალი და კაცი ველა თაყვანს სცემდა სასიქადულო მამულიშვილს. თითქოს არც პატარა ბეღურა ჩიტს გამოეპარა ასეთი გმირობა, გზად ქუდზედ შეაფრინდა და ნაზად ნისკარტი ჩაუკაკუნა, თითქოს უნდოდა გაეგო რა აზრები ტრიალებდა თავში.

გმირმა ჟორჟიმ უკვდავ მამულიშვილის სახელი მოიხვეჭა. დაღონდენ მისი თანამწირველნი. ისინნა ეს ამბავი შეურაცყოფათ მიიღეს და მოინდომეს ჟორჟის დაბრუნება. როგორც ყოველთვის აქაც მსუქანმა სადილმა გასჭრა. ჟორჟი სუფრის თავში დაასკუპეს, კარგად გამოაძღეს, ბევრი რეჩები უთხრეს, ბევრი ცრემლი დაფრქვიეს, ბევრი კოცნეს და ისევ დაუბრუნეს ქალაქის გასგეობას.

ნსუქანმა სადილმა კინაღამ თავისი ქნა, ჟორჟი თითქმის მოლბა და ის იყო შეაღო თავის კაბინეთის კარები და ძველ სავარძელში უნდა ჩამჯდარიყო, რომ კარებში შეხვდა „თავ დიდა“ გამგეობის წევრს, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში კინაღამ გადაჰყვა წევრობის ადგილის შოვნას. „თავ დიდამ“ გაუღიმა მიელაქუცა და ხელათ წამოულაგა ახალი ამბები, ქალაქის თავმა ეს სთქვა შენზე, გამგეობის წევრებმა ესა, ხმოსნებმა ესაო და სხვა მრავალი. ისე ეტიტინებოდა როგორც პატარა ბავშვი მიუტანს ხოლმე ამბავს თვის დედას, მეზობლისას ესა და ეს ილაპარაკეს ჩვენზედაო და უმეტეს შემთხვევაში იმას ეუბნება რაც მის პატარა თავში გაიჩუჩუნებს ასე მოუვიდა „თავ დიდასაც“. ჟორჟი აენთო. პორთფელი იქით მიაგდო და ქუჩაში გამოვარდა ასტყდა ერთი აურზაური. უკან გამოუდგენ დაიჭირეს. პირში წაუდგენ „თავ დიდას“ გააწითლეს. გამოირკვა რომ არავის არაფერი ეთქვა, მაგრამ ჟორჟი მაინც ქუჩისკენ იწევს. ჯერ ჯერობით მტკიცეთ გადაწყვეტილი აქვს სამუდამოთ მოშორდეს ამ „სომეხთა“ პუდეს. რით გათავდება ყველა ეს ჰომავლის საქმეა.

ბედნიერი ვართ, რომ სულ არ გადავშენდით და ითო ოროლა თავდადებული ქართველი კიდევ გვყავს. ჟორჟის სახელი უკვდავი იქნება.

მზაკვარი.

ძესტვირული

(ჩოხატაურისთვის)

შენ ჩემო სტვირო ქამანჩავ
შემოგევლევი თავზედა,
დაუღალავი გამოდეგ
უმაგრესი ხარ ქვაზედა.
შევცვალოთ კილო სიმღერის
საგამოცანო ხმაზედა,
მსმენელმა იმას აკუთვნოს
ვინც დაეყუდოს ყალყზედა.
დამიწყოს ლანძღვა-გინება...
მოიღოს თავის თავზედა,
არ ვარჩევთ მტერ და მოყვარეს
ვადგივართ სწორე გზაზედა,
ვისაც შევნიშნავთ სიგლახეს
მას მივადგებით კარზედა...
პირადათ ვერრას გვეტყვიან
და თუ „გვამკობენ“ განზედა...
აგრე ტურებმაც იციან,
ძაღლების დანახვაზედა!..

ხო და, დავიწყოთ გეთაყვა
გამოცანისა თქმულება,
„ღრანტესა“ შინა შობილი,
რაღაც სხვაგვარი ქნილება,
თან დაყოლილი სენი აქვს
მელური გამოქნილება!..
კაცი ეს-დეკი სიტყვითა,
საქმით კი... გაგიკვირდება...
(სახელი ესე „რეკლამად“
მგონია უფრო სჭირდება)...
ხან ბრძენი არის სოლომონ,
ხან ისე გამოტვინდება,—
რომ ბოქაულის ქებასა
სამი საათი სჭირდება!..
მერე, როდესაც აქეთკენ
გამძღარი გამობრუნდება,—
სულ სხვაფერ იწყებს სჯა-ბაასს,
სულ სხვაფერ აღიდინდება!..
„კორესპონდენტობს“ კიდეცა
(ბევრსაც ეს გაუკვირდება)...
მარა სწერს იმას, ყოველთვის

რაც რომ მოსწონს და ჭირდება.
ორი ათასი ქანქარი
შკოლისა შეწირულება,
(რომელიც მომაკვდავიდან
მასთანაც იყო თქმულება)
რომელმა მგელმა ჩაჭყლაპა,
რატომ არა ქმნა მხილება?*)
ის ამ საქმეში ერია,
თუ თითონც ჩაუფიქრდება,—
ხალხი ეჭვს იღებს,—ამბობენ,—
„წილი მასაც ხვდა იქნება!“..
და თუ ეს ასე, არ არის
ქანქარის განაწილება...
განა „დემოკრატს“ რომელიც
(ვითომ ხალხს ემსახურება)...
შეჰფერის ასე გულ-გრილად
თვალით საქმეზე ყურება?..
ხსენებულ ქანქრის „ჩაყლანწვით“,
(ეს სხვებსაც გაეგონება)
რუსეთში ქართველ მუშებსა,—
გაუნახევრეს ქონება!..
აწ კმარა ჩემო ქამანჩავ,
მეც რაღაც ტანში ზმორება
ამიტყდა.. „კარგს ნუ ელიო“
მიჩივა აზრი, გონება—
ამაში შვიდი კაცია...
ხუმრობა ნუ გეგონება,
მათში ისეთიც ბრძანდება—
მამა-ჩემსა აქვს ცხონება,
ერთი რომ ბრძანოს...მშვიდობით,
ცოლი, შვილი და ცხოვრება.
მაშ დაუწიე ქამანჩავ,—
ხიფათი განგეშორება,
თორემ მეორედ, ვის ძალუძს,
სიცოცხლის განმეორება?!

წაველა.

*) ეგებ შეშინდა საწყალი,
რომ მღვდელი დაემდურება...
თავადი მათრახს გადაჭკრავს,
მელიტონ გაებღურება,
გრიგორისაგან უთუოდ,
არ აცდებოდა გინება)!..

მკითხველი.

დეპეშები.

(აბუსადათინის სააგენტო)

ოზურგეთი. ცნობილი ვასილი ქალაქის აფთიაქის დახურვას ცდილობს. ამ აფთიაქს ქალაქისთვის ზარალის მეტი არაფერი მოაქვსო. ამას მით ასაბუთებს რომ ქალაქის აფთიაქში დღიდან "გახსნისა ხუთი ათასამდე რეცეპტი შემოსულა; მისაში კი მხოლოდ რვაასზე ცოტა მეტი. ზარალიც ამას ქვია.

ს. კახური. ჩვენმა მღვდელმა იოსებმა ამას წინეთ საყდარში ცირკი გამართა. ჯვარ-დასაწერი სამი წყვილი ქალ-ვაჟი ერთად დაამწკრივა. ერთ წყვილს გვირგვინი დაადგა (სხვები უგვირგვინოთ დარჩა) და ჯვარი დასწერა. ჩაბარების დროს, ადგილის სივიწროვის გამო აირიენ. ჯვარ-დაწერილებს ერთმანეთი შეეცვალათ. დიდი ხმაურობა და სიცილ-ხარხალი ატყდა.

(ზეინაბის სააგენტო)

ფოთი. 1 ივნისს აქ უნდა წაეკითხა გ. ჭუმბურიძეს და „ცნობილ“ მამულიშვილთა „მამლაყინწა „ფედკას“ ლექცია ქართულ ენაზე. ლექცია „სხვა და სხვა მიზეზების გამო“ გადაიდვა შაბათისთვის. ამ გარემოებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მამულიშვილთა „აუარებელ“ დამსწრე საზოგადოებაში, რომლებიც დიდი წყურვილით ელოდებოდენ „ფედკას“ ლექციით დატკბობას. ყველაზე უფრო გული დაწყდათ: ანდრის, კოლიას, ემელიანს და აბიბო დონკიხოტს.

— აქაურმა მამულიშვილებმა გამოსათხოვარი სადილი გაუმართეს „ცნობილ“ ნოტარიუსს გვალიას, რომელიც გადაჰყავთ ყვირილაში. სადილს ბევრი წარჩინებული პირი დაესწრო, ბევრი ღვინო შეისრუტა და ბევრი რეჩი დაინთხა.

—

ტობანიერი. (ქუთ. მაზრა) აქაურმა ინტელიგენციამ და ვაჭრებმა დაადგინეს: რადგან სამკითხველოს შენობის გაყიდვით კაი მოგება დარჩათ, კიდევ შეაგროვონ ფულები და გამართონ ყიდვა-გაყიდვა. სამკითხველოს ნება-რთვა ისედაც მოთავსდება მასწავლებლის ხსენებულ ოთახშიო.

— რადგან პროკლე-ექიმს ტანისამოსის შკაფი არ ჰქონებია. სამკითხველოს შკაფი მისი[illegible] ფულით მისცა ლა მასთან. დაეინებით ლაპარაკობენ როცა პროკლეს ტანისამოსი აღარ ექნება, ისევ უკან მოვა თავისივე ფეხითო.

— პოლიკარპე-ფერშალთან საჩივარში ასი მანეთის ამოსაღებად ბაზრის დეპუტატებმა საჩივარში დახარჯეს 2500 მანეთი, რომ საქმე მოიგონ გამოუანგარიშებიათ კიდევ საჭიროა 5000 მანეთიო. ფულს აგროვებს საზოგადოება.

ბზიკი.

წერილი რედაქციას.

ბ. რედაქტორო! თქვენ პატივცემულ ჟურნალის 19 ნომერში გადმოგეგზავნილია წერილი „აზრიდან“, რომელიც ეხება ბ. „წაველას“ მიერ მოთავსებულ წერილს, თქვენსავე ჟურნალში, შესახებ ბ. ჩოხატაურის ექიმისა. რედაქციამ თავის შენიშვნით უფრო მეტი შეურაცხყოფა მიაყენა ბ. ექიმს, ვიდრე „წაველამ“ რაზედაც არავითარი საბუთი არ ჰქონდა. ამასთანავე ჩვენც, ვინც ვუსაყვედურებდით ბ. „წაველას“ და ვაფრთხილებდით, რომ პიროვნებას უფრო გაფრთხილებით მოპყრობოდა, ძრიელ შეურაცყოფილად ვგრძნობთ თავს რედაქციის მიერ. ამიტომ ვაძლევთ წინადადებას, პირველსავე მორიგ რომერში გაასწოროს შეცდომა.

ამხანაგების მონდობილებით: იოსებ მეგრელიშვილი, ონოფრე კალანდაძე, თეოფილე ჩიჩუა, სიმონ ბერიძე სამუელ თავართქილაძე.

ღია წერილი ფერშლებს.

თეოფილე ჩიჩუას, ონოფრე კალანდაძეს, იოსებ მეგრელიშვილს, სიმონ ბერიძეს და სამუელ თავართქილაძეს (ბოდიშს ვიხდით თუ შევცდით—დანამდვილებით ვერ გავიგეთ სამი უკანასკნელი მართლა ფერშალი არის, თუ ფერშალის მეგობარი).

მოგახსენებთ ბ.ბ. ფერშლებო, რომ არც წინათ და არც ეხლა თქვენი ექიმისთვის არც ჩვენ და არც ჩვენ თანამშრომელ „წაველას“ შეურაცხყოფა არ მიუყენებია. გვიკვირს რას ცხარობთ ასე?! თუ მაინცა და მაინც ძალიან თავს გამოიდებთ—წინადადებას ვაძლევთ „წაველას“ გაიმეოროს თავის ნათქვამი და შეურყეველი საბუთები წარმოგვიდგინოს. თუ მტყუანი ვიქნებით ბოდიშის მოხდას მერეც მოვასწრობთ.

პატივისცემით „მათრახის“ რედაქცია.

ქ 158/1914/2



სალამო-მოხსტრი, ქართულ თეატრში.

(მიბაძვა დრამატიულ საზოგადოების რეკლამისა).

ივნისის 2-ში, ორშაბათ დღესა.
(საყოველთაოდ უნდა ვსთქვათ ესა)—
გამოვიბერტყეთ ჯიბისა ბსკერი,
ქართულ თეატრის ვიხილეთ ჭერი!

—

ყველა დაობაზი: თეატრის, კლუბის,
(პირდაპირი თუ მარცხენა უბის)
იყო სულ ღია...
ხალხი შიგ ისხდა: ვერის, დიდუბის,
თბილის-ქალაქის სუყველა უბნის
რაც დაეტია!..

—

მხიარულება, სიცილ-ხარხარი,
ლხინის სალამო გულ-გასახარი —
გადგვექცა ჭმუნვათ
და ჩვენი სცენა: ჭკუის სალარო,
გონების სკოლა, ცხოვრების წყარო —
მასხრების ხტუნვათ!..

სულ დაავიწყდა: არტისტებს—როლი,
ლეკტორს—სიტყვები, ქმრებს—თავის ცოლი,
ცოლებს—ქმარ-შვილი,
და თეატრისა ფართე პარტერში,
გვერდის ლოჟებში, თუ ზემოდ ჭერში—
გამეფდა ძილი.

მათრახოსანი.

ელექტრო-მბეჭდავი „შრომა“ მუხრანის ქ., № 3.

რედაქტ-გამომც. თ. ბოლქვაძე.